დანართი N1
დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიირ
რექტორის N2/204 ბრძანებით (25.11.2022)
ცვლილება: N2/221 ბრძანება (23.12.2022)
ცვლილება: N2/10 ბრძანება (21.02.2025)

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება

2025

მუხლი 1. რეგულირებადი სფერო

1.1. პროფესიულ სტუდენტთა(შემგომში სტუდეტთა) თვითმმართველობის დებულება(შემდგომში დებულება) ადგენს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში(შემდგომში აკადემია) პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მიზნებს, სტრუქტურას, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების წესს და თვითმმართველობის გამართულად ფუნქციონირებისათვის სხვა დებულებებს.
1.2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.
1.3. სტუდენტური თვითმმართველობის და მისი ორგანოების არჩევნების წესი და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
1.4. სტუდენტური თვითმმართველობის ნებისმიერ ინიციატივას პასუხს გასცემს აკადემიის რექტორი გონივრულ ვადებში, საერთო ვადა არ აღემატება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს;
1.5. სტუდენტური თვითმმართველობა ვერ გამოაქვეყნებს, გაავრცელებს ან გამოაკრავს განცხადებებს აკადემიაში ან მის გარეთ, რექტორის ნებართვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება განხილული იქნება, როგორც დისციპლინის დარღვევა.
1.6. სტუდენტური თვითმმართველობა არ არის უფლებამოსილი ჩაიდინოს ქმედება, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება აკადემიის სახელსა და პრესტიჟზე; თუ ასეთ ფაქტს ექნება ადგილი, ეს განიხილება როგორც დისციპლინარული დარღვევა და სტუდენტური თვითმმართველობის ძალაუფლება შეჩერებული იქნება დროებითი ვადით, რომლის ხანგრძლივობასაც განსაზღვრავს რექტორი ბრძანებით.

მუხლი 2. თვითმმართველობის მიზნები

2.1. თვითთმართველობის მიზნებია:

- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში აკადემიის ადმინისტრაციასთან და მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;
- გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;
- მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს აკადემიაში ახალი სტუდენტების ადაპტაციის პროცესში.
- შეიმუშავოს წინადადებები აკადემიაში არსებული გამოწვევების შესახებ და წარუდგინოს შესაბამის ორგანოს წერილობითი ფორმით;
- შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა სოციალურ-კულტურული, სპორტული დასვენებისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების და საჭიროების სტუდენტების ადაპტაციას;
- ხელი შეუწყოს სტუდენტების უნარ-ჩვევების წარმოჩენას კოლეჯის ფარგლებში და მის გარეთ;
- ურთიერთობები დაამყაროს და გააღრმაოს სხვა კოლეჯების თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.

მუხლი 3. თვითმმართველობის სტრუქტურა

3.1 თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:
ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;
ბ)თვითმმართველობის პრეზიდენტი;
გ) თვითმმართველობის ვიცეპრეზიდენტები;
დ) თვითმმართველობის წევრები

მუხლი 4. თვითმმართველობის საერთო კრება

4.1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში დარეგისტრირებული ყველა წევრისაგან;
4.2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება წელიწადში მინიმუმ ერთხელ;
4.3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს ეცნობება საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა;
4.4.სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;
4.5. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
4.6. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4.7. თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია:
ა)განიხილოს თვითმმართველობის წლის სამოქმედო გეგმა;
ბ) განიხილოს ცვლილებები თვითმმართველობის დებულებაში.
4.8.თვითმმართველობის საერთო კრების სხდომის ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, სხდომის მდივანს ირჩევს თვითმმართველობის პრეზიდენტის საერთო კრების დაწყებისას.
4.9.თვითმართველობის მდივანი აფორმებს საბჭოს სხდომის ოქმებს, წარუდგენს რექტორს შემდეგი რეაგირებისათვის;

მუხლი 5. თვითმმართველობის პრეზიდენტი

5.1 სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს საერთო კრების სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
5.2 თვითმმართველობის პრეზიდენტი ამავდროულად არის თვითმმართველობის წევრი;
5.3 თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიის ნებისმიერი პროგრამის პროფესიული სტუდენტი, რომელიც არის თვითმმართველობის წევრად რეგისტრირებული და აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს. არის: მაღალი აკადემიური მოსწრების და დასწრების მქონე, არ გააჩნია დისციპლინარული გადაცდომები, აქვს კომუნიკაციის და ჯგუფში მუშაობის უნარი, გააჩნია ორგანიზებულობის უნარი და არის პრეზენტაბელური;
5.4 თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა აკადემიის სტუდენტების მიერ 2 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით ხმათა უმრავლესობით. ვიცე-პრეზიდენტები აირჩევა რანჟირების წესით. თუ თვითთმართველობის პრეზიდენტი წარმოადგენს იმ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის სტუდენტს (მსმენელს), რომლის ვადაც ორ წელზე ნაკლებია , თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება წელიწადში ერთხელ პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე;
5.5. თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ანაწილებს თვითმმართველობაში წევრებს შორის უფლება-ვალდებულებებს და კოორდინირებას უწევს მათ საქმიანობას;
- საჭიროების შემთხვევაში იწვევს და თავმჯდომარეობს თვითმმართველობის საერთო კრებას;
- ხელს აწერს თვითმმართველობის საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას;
- ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას და მოქმედ კანონმდებლობას.

5.6. პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება:
ა) წერილობითი განცხადების საფუძველზე;
ბ) შეხვედრების რეგულარული გაცდენის შემთხვევაში;
გ)ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში;
5.7.პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ჩატარდება ხელახალი არჩევნები ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 6. თვითმმართველობის ვიცე- პრეზიდენტი

6.1.უფლებამოსილების უკეთ განხორციელების მიზნით პრეზიდენტს ჰყავს მინიმუმ 3 მოადგილე - ვიცეპრეზიდენტები, რომლებიც თავისის კომპენტენციის ფარგლებში და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაში უზრუნველყოფენ თვითმართველობის ორგანოთა ეფექტურად წარმართვას;
6.2.პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებამოსილებას ასრულებს ერთ-ერთი ვიცე პრეზიდენტი, რომელსაც საერთო კრებაზე წარადგენს პრეზიდენტი;
6.3. ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება:
ა) წერილობითი განცხადების საფუძველზე;
ბ) შეხვედრების რეგულარული გაცდენის შემთხვევაში;
გ) ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში;
6.4. ვიცეპრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ჩატარდება ხელახალი არჩევნები რექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობაში გაწევრიანება და თვითმმართველობის პრეზიდენტის/ვიცეპრეზიდენტის არჩევნები

7.1 თვითმმართველობაში გაწევრიანება შეუძლია აკადემიის პროფესიულ სტუდენტს, რომელიც რეგისტრირებულია თვითმმართველობის წევრად. რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება აკადემიის რექტორთან შეთანხმებით და გამოქვეყნდება აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე/ანდა სოციალური ქსელის გვერდზე;
7.2. თვითმმართველობის არჩევნები ტარდება წელიწადში ერთხელ, გარდა აუცილებელი შემთხვევებისა; კანდიდატობის წარმოდგენის მიზნით თვითმმართველობის პრეზიდენტობის და ვიცეპრეზიდენტობის მსურველები ავსებენ რეგისტრაციის ფორმას;
7.3 არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით აკადემიის ტერიტორიაზე. პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტაციის ვადა განისაზღვრება რექტორთან შეთანხმებით და ქვეყნდება აკადემიის ვებ-გვერდზე;
7.4.თვითმმართველობის პრეზიდენტს ირჩევენ აკადემიის პროფესიული სტუდენტები ხმათა უმრავლესობით, ხოლო ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმათა გარკვეულ რაოდენობებს, რანჟირების წესით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, განსაზღვრული კვოტის ფარგლებში დაიკავებენ ვიცეპრეზიდენტების თანამდებობებს;
7.5. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი/შერჩეული ვიცეპრეზიდენტების რაოდენობა ნაკლებია ამ

დებულებით განსაზღვრულ რაოდენობაზე, ვაკანსიების შესავსებად ტარდება დამატებითი არჩევნები არსებული დებულების შესაბამისად. წარმოდგენილი კანდიდატებიდან თვითმმართველობის ვიცეპრეზიდენტს აირჩევენ აკადემიის პროფესიული სტუდენტები ხმათა უმრავლესობით, ვაკანტური ადგილ(ებ)ის შესაბამისად;

7.6.თვითმმართველობის არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. არჩევნებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. პრეზიდენტობის მსურველი კანდიდატი ავსებს კენჭისყრისათვის დამტკიცებულ ფორმას (დანართი 1) რეგისტრაციისათვის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში;

7.7.არჩევნები ტარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი გულისხმობს წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, ხოლო მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატების მიერ 5 წუთიანი პრეზენტაციის წარმოდგენას სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. კანდიდატი არ დაიშვება მეორე ეტაპზე, თუ არ გადალახა პირველი ეტაპი;

7.8. იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, მაქსიმუმ 10 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური. მეორე ტურში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც პირველ ტურში თანაბარი რაოდენობის, ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა.

7.9. საარჩევნო კომისია

7.9.1.საარჩევნო კომისიის(შემდგომში კომისია) შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს რექტორი;

7.9.2.კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი/პროგრამის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი, მეტი გამჭვირვალეობისათვის კომისიაში უნდა შედიოდეს პროფესიული სტუდენტი, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კომისიის წევრად მოწვეული იყოს სხვა პირებიც.

7.9.3.კომისიის არჩევნების შედეგების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას თვითმმართველობის პრეზიდენტის და ვიცეპრეზიდენტ(ებ)ის დანიშვნის შესახებ;

7.9. 4არჩევნების ჩატარებისათვის დადგენილი ვადების ათვლა ამ წესით დადგენილი ყველა ვადა, მათ შორის, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე თვითმმართველობის საარჩევნო კომისიისადმი საჩივრით მიმართვის და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები გულისხმობს კალენდარულ დღეებს, რაც არ აღემატება ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს.

მუხლი 8. თვითმმართველობის საარჩევნო დავების განხილვის წესი

8.1.საარჩევნო დავების შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით მიეწოდება რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის არჩევნების ჩატარებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში ;

8.2.აღნიშნული ვადის დარჩვევის შემდეგ ნებისმიერი საჩივარი დარჩება განუხილველი;

8.3.საჭიროების შემთხვევაში რექტორი ბრძანებით ქმნის სააპელაციო კომისიას, რომლის შემადგენლობაც და მოქმედების ინსტრუქცია დარეგულირდება რექტორის დამატებითი ბრძანებით.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები

9.1.სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) აკადემიის ბიუჯეტი;

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები ან/და გრანტები;

გ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილებების განხორციელება

10.1. აღნიშნულ დებულებას ამტკიცებს აკადემიის რექტორი, მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია თვითმმართველობის პრეზიდენტის ან სხვა დაინტერესებული პირის დასაბუთებული წარდგინებით.

დანართი 1.

პროფესიული თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატის

ა) სახელი ----------

ბ) გვარი ----------

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ----------

დ) საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მეილი) ----------

ე) პირადობის მოწმობის ასლი

ხელმოწერა ---------- თარიღი: